



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბისი



აბისი ციხე-დარბაზი. XVIII ს. II ნახევარი

აბისი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ლოპანისწყლის (დასავლეთის ფრონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ქარელ-ცხინვალის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ა., აბისისთავი, ბერძენაული). მ. დ. 670 მ, ქარელიდან 20 კმ. 399 მცხ. (2014).

ა. პირველად 1633 იხსენიება. ამ დროს იგი ავალიშვილების სამკვიდრო მამული იყო. XVIII ს. 20-30-იან წლებში დაღესტნელ და ოს ფეოდალთა მოთარეშე რაზმებმა ააოხრეს. XVIII ს. ბოლოს ამირეჯიბის მფლობელობაში გადავიდა. XIX ს. ადმ. დაყოფით გორის მაზრაში შედიოდა.

სოფლის გარეუბანში შემონახულია XVIII ს. II ნახ. ციხე-დარბაზი და ნათლისმცემლის ეკლესია. თავდაპირველად აქ იდგა ნატეხი ქვით ნაგები ოდნავ წაგრძელებული კოშკურა ნაგებობა, რ-საც ოთხივე კუთხეში მიდგმული ჰქონდა თითო მრგვალი კოშკი. სართულებშუა გადახურვა შუაშიც და კუთხის კოშკებშიც ხისა იყო. ცენტრ. კოშკის II სართული საცხოვრებელს წარმოადგენდა (არის ბუხარიც). ვიდრე ჩრდ-იდან ახ. სადგომს მიაშენებდნენ, აქედან იყო ერთადერთი შესასვლელი II სართულის დონეზე, შემდეგ შესასვლელი სამხრ-იდან გაუკეთებიათ ეკლესიის კედლის სისქეში ჩართული კიბის საშუალებით, რ-იც კოშკში საგანგებოდ გაჭრილი შესასვლელისკენ მიემართება. 1754 ამოკვეთილი ეკლესიის წარწერებიდან ირკვევა, რომ კოშკი და ეკლესია ზაალ მახვილაძეს აუშენებია. სოფლის განაპირას, სასაფლაოზე წმ. მარინეს ერთნავიანი ეკლესია დგას. სტილისტიკური ნიშნებით X-XI სს. მიეკუთვნება, შეკეთებულია XIX ს-ში და XX ს. 70-იან

წლებში.

ლიტ.: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., [ტ.] 2, თბ., 1953; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგნ. 1, თბ., 1964.

პ. ზაქარაია

ჟ. გვასალია
